




# კროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშების ანალიზი

2021 წელი



# შინაარსი

- I. თვითშეფასების წარმოდგენის საფუძვლები;
- II. თვითშეფასების წარმოდგენის ფორმატი და დამუშავების პროცედურები;
- III. თვითშეფასების ანგარიშების შესწავლის შედეგები.

სტანდარტი 1 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება;

სტანდარტი 2 - საგანმანათლებლო პროგრამები;

სტანდარტი 3 - პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები;

სტანდარტი 4 - ადამიანური რესურსები;

სტანდარტი 5 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

## IV. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ყველა სტანდარტთან მიმართებაში გამოკვეთილი გამოწვევები

სტანდარტი 1 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება;

სტანდარტი 2 - საგანმანათლებლო პროგრამები;

სტანდარტი 3 - პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები;

სტანდარტი 4 - ადამიანური რესურსები;

ყველა სტანდარტთან მიმართებაში გამოკვეთილი გამოწვევები.

## I. თვითშეფასების ნარმოდგენის საფუძვლები

საქართველოს კანონის განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მე-15 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის ჩანაწერის მიხედვით, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ჩანაწერის მიხედვით, ავტორიზაციის პირობების შემონმების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 მარტის N 314607 ბრძანებით განისაზღვრა - „ავტორიზაციის პირობების შემონმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა პერიოდი - 2020 წლის პირველი ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

მხედველობაში მიიღეს, რომ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის პერიოდს და გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია სრულყოფილად ვერ იყო ჩართული სამუშაო პროცესებში, კოლეჯების შუამდგომლობის საფუძველზე პირველად ბრძანებაში შევიდა ცვლილება (ცვლილების ბრძანება N393401 20.05.2020), რითაც თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადა უცვლელი დარჩა, ამასთანავე განისაზღვრა მტკიცებულებების წარმოდგენის დამატებითი ვადა - არაუგვიანეს 2020 წლის 18 ოქტომბრისა.

## II. თვითშეფასების ნარმოდგენის ფორმატი და დამუშავების პროცედურები

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავდა თვითშეფასების ფორმა (დამტკიცებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №313784, 23.03.2020), რომლის შევსების და წარმოდგენის ვალდებულება ყველა ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეკისრა. აღნიშნული ფორმა ითვალისწინებდა ხუთივე პროფესიული სტანდარტის მიხედვით დაწესებულების თვითშეფასებას, დანართების/მტკიცებულებების ჩამონათვალს (რომლის გარეშეც ექსპერტის მხრიდან შეუძლებელი იქნებოდა გარე შეფასების დისტანციურად გაკეთება), ფორმაში აღწერილობითი ნაწილისთვის ასევე გამოყოფილი იყო ცალკე ველი, სადაც დაწესებულება, თითოეული კომპონენტისა და ინდიკატორის მიხედვით მსჯელობდა საკუთარ შესაბამისობაზე სტანდარტებთან მიმართებაში.

თავდაპირველად განსაზღვრული იყო თვითშეფასებების ელექტრონულად შევსება და მისი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ პლატფორმაზე წარმოდგენა, თუმცა ტექნიკური ხარვეზების მიზეზით, 2020 წლის თვითშეფასებები ისევ დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის (e-flow) საშუალებით განხორციელდა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების პროგრამისა და ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიული სტუდენტების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში კონტრაქტი დაიდო 9 ექსპერტთან, რომლებსაც დაევალოთ შემოსული დოკუმენტების შესწავლა და ექსპერტული შეფასების გაკეთება. ასევე წინასწარ შემუშავდა ერთგვაროვანი ფორმატით დასამუშავებლად ექსელის ფაილი, სადაც ექსპერტებს შეჰყავდათ მათზე გადანაწილებული დანესებულებების თვითშეფასებების შედეგები.

აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებდა:

- აღწერილობითი ნაწილისა და მტკიცებულებების შესაბამისობის შეფასებას;
- დანესებულების მხრიდან სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას;
- ექსპერტის მხრიდან სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას;
- განსხვავებული შეფასების შემთხვევაში (აცდენა დანესებულებისა და ექსპერტის შეფასებაში) დასაბუთებას ექსპერტის მხრიდან.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციების ჩამოყალიბებას კომპონენტებთან მიმართებაში; განსაზღვრულ ვადებში, 86 პროფესიულმა საგანმანათლებლო დანესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული ფორმები. რის შემდეგაც შემოსული დოკუმენტები გადანაწილდა 9 ექსპერტზე, რომლებმაც გამოყოფილ პერიოდში (2020 წლის დეკემბრამდე) შეისწავლეს და განახორციელეს ექსპერტული შეფასებები. ბოლო ეტაპზე კი ექსპერტების მიერ ცალკეული დანესებულებების მიხედვით შევსებული შეფასების ცხრილები ერთ ფორმატში გაერთიანდა და მონაცემები პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავდა.


თვითშეფასების ფორმა 4 პროფესიულმა საგანმანათლებლო დანესებულებამ არ წარმოადგინა, რომელთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება 2021 წლის განმავლობაში დაიგეგმება, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დანესებულებები აპირებენ პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში დარჩენას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ექსპერტების მიერ დამუშავებული მონაცემების შემაჯამებელ ანალიზს.


### III. თვითშეფასების ანგარიშების შესწავლის შედეგები

#### სტანდარტი 1 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

პირველი სტანდარტის მიხედვით დაწესებულებების 85.9%-მა საკუთარი თავი სრულ შესაბამისობაში შეაფასა, 12.9% - მიიჩნევს რომ ის უფრო მეტად შესაბამისობაშია, ხოლო 1.2% -მა ნაწილობრივი შესაბამისობა დააფიქსირა.




ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასებები პირველ სტანდარტთან მიმართებაში საკმაოდ განსხვავდება ზემოთ მოყვანილი სურათისგან.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, სრული შესაბამისობა შემთხვევების მხოლოდ 40%-თან დაფიქსირდა, რაც გაცილებით დაბალია დაწესებულებების მიერ შეფასებულ თითქმის 86%-თან მიმართებაში. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი სტანდარტის მიხედვით ექსპერტებმა თითქმის 33% შემთხვევაში სრული შეუსაბამობა (არ შესაბამემა) დააფიქსირეს, ხოლო 5.9% - ის შეფასება ვერ მოხერხდა.

პირველი სტანდარტის მტკიცებულებების ანალიზისას იკვეთება ამგვარი განსხვავებული შეფასების მიზეზები. წარმოდგენილი მტკიცებულებების მხოლოდ 55.3% იყო სანდო და შესაბამისი, ხოლო დანარჩენ 44.7% შემთხვევებში - მტკიცებულება ან არ იყო სანდო, ან შეუსაბამო, ან არასაკმარისი იყო, ან სრულიადაც არ არსებობდა (არ იყო

თანდართული/ვერ მოიძიეს). პროცენტულად მტკიცებულებების შეფასების სურათი ამგვარად გამოიყურება:




პირველი სტანდარტის შეუსაბამობის მიზეზებს თუკი კიდევ უფრო ღრმად ჩავეძიებით, სხვადასხვა დაწესებულებასთან რამდენიმე განმეორებადი მიზეზი იკვეთება, რაც საშუალებას იძლევა სისტემურ დონეზე ტენდენციად მივიჩნიოთ ისინი. ამგვარი შეუსაბამობების ტენდენციური შემთხვევებია:

- მისიაში არ იკვეთება დაწესებულების როლი და პროფილი, რითაც ის სხვისგან განსხვავდება;
- სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ჩამოთვლილთაგან რამდენიმეს, ან მინიმუმ ერთ-ერთს მაინც - სტრატეგიულ მიზანს, ამოცანას, ინდიკატორს, შესრულების ვადებს და/ან საჭირო რესურსებს.


## სტანდარტი 2 - საგანმანათლებლო პროგრამები

მე-2 სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულებების 95.3%-მა საკუთარი თავი სრულ შესაბამისობაში შეაფასა. იყო ერთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულებას არ ჰქონდა მონიშნული შეფასება და ერთ შემთხვევაში, როდესაც ასევე არ იყო მე-2 სტანდარტი შეფასებული, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს ახორციელებდა.

დაწესებულებების მხრიდან თვითშეფასების მთლიანი სურათი მე-2 სტანდარტთან მიმართებაში პროცენტულად ამგვარად გამოიყურება:



განსხვავებული სურათი იკვეთება ექსპერტების შეფასებებში. მე-2 სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასება შემდეგნაირად გამოიყურება:



ძირითადი მიზეზი, რომელიც ამგვარ განსხვავებულ სურათს იძლევა, ისევ და ისევ, მტკიცებულებებში იკვეთება. 40% შემთხვევაში მტკიცებულება საერთოდ არ არსებობს, 5.9% შემთხვევებში წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი, ხოლო 2.4% - არ არის სანდო.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით ცალკე აღსანიშნავია ის ტენდენციები, რომლებიც დაწესებულებების უმრავლესობაში გამოიკვეთა:


- ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მტკიცებულებები შექმნილია თვითშეფასების განხორციელების შემდეგ, რის გამოც სანდოდ ვერ მიიჩნევა;
- სტუდენტის ჩარიცხვის წესი არ ეფუძნება მინისტრის მიერ განსაზღვრულ ბრძანებას 152/ნ და მასში შეტანილ ცვლილებებს (28.05.29 59/ნ);

- ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პროფესიული მოდულების უმრავლესობას ახორციელებს ერთი პირი, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- გვხვდება შემთხვევები, როდესაც წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმიდან იკვეთება ის, რომ დაწესებულებას აღნიშნულ პროცესში შემავალი ეტაპების თანმიმდევრობა არა აქვს სათანადოდ გააზრებული. თუნდაც, გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას მოიაზრებს საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე.

### სტანდარტი 3 - პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

დანარჩენ 4 სტანდარტთან შედარებით, მე-3 სტანდარტთან მიმართებაში სრული შეუსაბამობის (არ შეესაბამება) ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი (60.0%) დაფიქსირდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორი სტანდარტისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დაწესებულებების ნაკლებმა რაოდენობამ (75.3%) საკუთარი თავი სრულ შესაბამისობაში შეაფასა, ხოლო 25,3%-მა - მეტწილი შესაბამისობა დააფიქსირა.

ექსპერტული შეფასებების გადანაწილება კი მესამე სტანდარტთან მიმართებაში ამგვარად გამოიყურება:




აქვე იკვეთება ის ძირითადი ხარვეზები, რამაც ექსპერტების მხრიდან უარყოფითი შეფასება გამოიწვია, , სადაც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი არის ის, რომ ჩარიცხვის წესი და მობილობის წესი არ შეესაბამება საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე სტუდენტის სტატუსის მინიჭების წესი არ არის შესაბამისობაში მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის 152/ნ ბრძანებასთან, (ცვლილება 28.05.20 N49/ნ).

ცალკე აღსანიშნავია მე-3 სტანდარტთან შესაბამისობაში მოსასვლელად განსახორციელებელი კვლევების საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სტანდარტი კვლევებს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით მოითხოვს,



დანესებულებების დიდ ნაწილს უჭირს ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიის სწორად განსაზღვრა, ან უბრალოდ სრულყოფილად ვერ ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სამიზნე აუდიტორიას (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). მტკიცებულებებად წარმოდგენილი კვლევის ინსტრუმენტები დახვეწას და კონკრეტულად კვლევის მიზანზე მორგებას საჭიროებს, ხშირ შემთხვევაში გამოყენებული კითხვარები არ იძლევა მიზნობრივი მონაცემების შეგროვების საშუალებას, რომლის ანალიზზე დაყრდნობითაც ხარისხის გასაუმჯობესებლად დანესებულებამ შემდგომი ნაბიჯები უნდა გადადგას.

ექსპერტების მხრიდან მტკიცებულებების შეფასების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 61% შემთხვევებში მტკიცებულება არ არსებობს (ვერ მოიძიეს), ხოლო 14% შემთხვევებში მტკიცებულება შეუსაბამოა, რაც ისევ და ისევ იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ მე-3 სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობაში მოსვლა გამონაკვეთად რჩება პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულებების უმრავლესობისთვის.


ზოგადად, საერთო ტენდენციაა ის, რომ დანესებულებები არ ეცნობიან საკანონმდებლო აქტებს და შესაბამისობაში არ მოჰყავთ საკანონმდებლო ცვლილებებთან/ახალ აქტებთან შიდა რეგულაციები, რაც სისტემურ დონეზე გამოსასწორებელი საკითხია.

ასევე ძალიან დაბალია დანესებულებების კომპეტენცია კვლევების დაგეგმვის, კვლევის რელევანტური ინსტრუმენტების შექმნის, მონაცემთა შეგროვების, ასევე შედეგების განზოგადების და დასკვნების გამოტანის საკითხებში.

#### სტანდარტი 4 - ადამიანური რესურსები

მე-4 სტანდარტთან მიმართებით, დანესებულებების 74.1%-მა საკუთარი თავი შესაბამისობაში შეაფასა, 24.7%-მა უფრო მეტად შესაბამისობაში, ხოლო 1.2% (ერთი შემთხვევაში) არ იყო შეფასება მონიშნული შესაბამის გრაფაში.


ექსპერტების მხრიდან გაკეთებული შეფასებები შემდეგნაირად გადანაწილდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ამ შემთხვევაშიც, სტანდარტთან შესაბამისად შეფასებული დანესებულებების წილი საგრძნობლად დაბალია, თუკი ამ მაჩვენებელს შევადარებთ თვითშეფასების 74.1%-ს.

მე-4 სტანდარტის შემთხვევაშიც, წარმოდგენილი მტკიცებულებები ან არ იყო საკმარისი, ან შეუსაბამო იყო, ან უბრალოდ ვერ მოიძიეს, , რაც ძირითადად იწვევდა უარყოფითი ექსპერტული შეფასების დაფიქსირებას. გარდა ამისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დანესებულების მხრიდან უფრო მეტად და/ან ნაწილობრივი თვითშეფასების დაფიქსირებისას, თანდართულ დოკუმენტებში ვერ მოიძიეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა უფრო მეტად, და/ან ნაწილობრივი შეფასების დასადასტურებლად.

წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებები ექსპერტების მხრიდან შემდეგნაირად გადანაწილდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარმოდგენილი მტკიცებულებების ნახევარზე ცოტა ნაკლები (47.1%) შეფასდა როგორც სანდო და შესაბამისი, დანარჩენი კი ზემოთ გრაფიკზე დაფიქსირებული მიზეზებიდან გამომდინარე დახარვეზდა.


მე-4 სტანდარტთან მიმართებით შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი ტენდენციური ხარვეზები, რომლებიც შედარებით მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლინდა:

- სხვადასხვა რგოლში არასრულყოფილად განერილი სამუშაო აღწერილობები და ფუნქცია-მოვალეობები (მაგალითად, პროფესიული განათლების მასწავლებელს სამუშაო აღწერილობაში ფუნქციად არა აქვს განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და შეფასების პროცესის განხორციელება);
- ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სამუშაო აღწერილობების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შესასრულებელი ფუნქციების გადაკვეთები/დუბლირება;
- პერსონალის საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგია და განერილი პროცედურები ან საერთოდ ვერ იძებნება, ან არასრულყოფილია იმდენად რომ აღნიშნული არ იძლევა მიზნობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაყრდნობით პერსონალის განმავითარებელი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.

## სტანდარტი 5 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 47.1%-მა საკუთარი თავი შეაფასა როგორც შესაბამისობაში, ხოლო 42.4% შემთხვევებში მეტწილი შესაბამისობა დააფიქსირეს.


მთლიანობაში დაწესებულებების მხრიდან განხორციელებული თვითშეფასების განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვა სტანდარტებთან შედარებით მე-5 სტანდარტის შეფასებისას ყველაზე მეტი და ნაწილობრივი შეფასება დაფიქსირდა დაწესებულებების მხრიდან (42.4% და 9.4% შესაბამისად). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თავად პსდ-ების უმრავლესობა სწორედ ამ სტანდარტში ხედავს განვითარების საჭიროებას.


მიუხედავად ზემოთ მოყვანილი გარემოებისა, ექსპერტული შეფასებებიდან იკვეთება, რომ მე-5 სტანდარტთან მიმართებაში გაუმჯობესება იმაზე ბევრად მეტ დაწესებულებას ესაჭიროება, ვიდრე ეს თვითშეფასებებიდან ჩანს.

ექსპერტული შეფასებები მე-5 სტანდარტთან მიმართებაში შემდეგნაირად გადანაწილდა:



ამგვარი განსხვავებული შეფასებების მიზეზები ისევ და ისევ მტკიცებულებებიდან იკვეთება, თუმცა მე-5 სტანდარტის შემთხვევაში მტკიცებულებების დახარვეზების ყველაზე ხშირი მიზეზი (50.6%) მათი ან საერთოდ არ არსებობა, ან თვითშეფასების მომენტში არ არსებობა გახდა.

ექსპერტების მხრიდან მტკიცებულებების შეფასების განაწილება ამგვარად გამოიყურება:



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მხრიდან დახარვეზდა და მხედველობაში ასევე არ მიიღეს ისეთი მტკიცებულებები, რომელთა შექმნის თარიღად ფიქსირდებოდა თვითშეფასების განხორციელების შემდგომი პერიოდი.

ზემოთქმულის გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ მე-5 სტანდარტთან მიმართებაში შეაფასეს დაწესებულებების უმრავლესობამ საკუთარი თავი მეტწილ (44.4%), ან ნაწილობრივ (9.4%) შესაბამისობაში, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა აუცილებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი დანართებში, თუმცა ასეთის არ არსებობა გახდა ექსპერტების მხრიდან უარყოფითი შეფასების მეორე მთავარი მიზეზი.

## IV. ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშების ანალიზზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვისაუბროთ იმ ხარვეზებზე, რომლებიც ხშირად გვხვდება სისტემურ დონეზე და შესაბამისად, საჭიროებს ცენტრის მხრიდან ჩარევას.

### ყველა სტანდარტთან მიმართებაში გამოკვეთილი გამოწვევები

ყველაზე ხშირად ექსპერტის მხრიდან სტანდარტთან შეუსაბამობის (არ შეესაბამება) დაფიქსირება გამოწვეულია მტკიცებულებების ან საერთოდ არ არსებობით, ან არასაკმარისობის/არასანდოობის მიზეზით. ამ ფაქტიდან გამომდინარე ორი პრობლემა იკვეთება: ერთი ის, რომ დაწესებულებების უმრავლესობას არა აქვს გააზრებული როგორ გაამყაროს მტკიცებულებებით ის პრაქტიკა, რომელსაც რეალურად ახორციელებს და მეორე - დაწესებულებების უმრავლესობას არა აქვს ბოლომდე გააზრებული, თუ რას ითხოვს სტანდარტი შინაარსობრივად და ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, შეუსაბამო მტკიცებულებები იქმნება. გამოკვეთილი ორი პრობლემიდან

ერთის არსებობა მეორეს არ გამოორიცხავს და დიდი ალბათობით ორივე ფაქტორს თავისი წილი მიუძღვის მტკიცებულებების უმრავლესობის დახარვეზებაში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დახარვეზდა (მხედველობაში არ მიიღეს) ასევე ის მტკიცებულებები, რომლებიც გამართული და შესაბამისი იყო შინაარსობრივად, თუმცა შეიქმნა თვითშეფასების განხორციელების შემდგომ, რის გამოც მათი სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

17,6% შემთხვევაში დაწესებულებას ერთი, ან რამდენიმე სტანდარტის მიხედვით შეფასებული აქვს საკუთარი თავი უფრო მეტ, ან ნაწილობრივ შესაბამისობაში, თუმცა თანდართული არაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საგანმანათლებლო სივრცეში დაწესებულებების თითქმის მეხუთედს არა აქვს გააზრებული ის აუცილებელი პირობა, რომ რომელიმე სტანდარტში უფრო მეტი, ან ნაწილობრივი შესაბამისობის დასაფიქსირებლად უნდა არსებობდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც.

### *რეკომენდაცია 1*

პროფესიული ხუთივე სტანდარტის მიხედვით მტკიცებულებების შექმნის, შენახვისა და წარდგენის გაიდლაინის შემუშავება და დაწესებულებებისთვის გაზიარება. აღნიშნული შემდგომში შესაძლოა ინტეგრირდეს ხარისხის სახელმძღვანელოში, ან ავტორიზაციის გზამკვლევაში.

## სტანდარტი 1 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

სისტემურ დონეზე შეინიშნება სტანდარტთან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეუსაბამობა. როდესაც სტრატეგიული გეგმა არ ითვალისწინებს ვადებისა და შესრულების ინდიკატორების შესახებ მონაცემებს. ასევე არის შემთხვევები, როდესაც სამოქმედო გეგმა არაა ბმაში სტრატეგიულ გეგმასთან. აღნიშნული ხარვეზი რაღაც დობით, კორელირებს ზემოთ მოყვანილ მიგნებასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქმედო გეგმა მისი შინაარსობრივი და ტექნიკური აგებულებით ძალიან ახლოსაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან და როგორც ჩანს, დაწესებულებები ამ მიმართულებით საჭიროებენ განვითარებას.

### *რეკომენდაცია 1.1.*

სტრატეგიული, სამოქმედო და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმების შემუშავებაში ვორქშოპის ჩატარება, სადაც მონაწილეები მიცემული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო პარამეტრის მითითებით, შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას და ასევე ამავე ვორქშოპზე მონაწილეებს მიეცემათ კონკრეტული სტანდარტის/კომპონენტის მიხედვით ხარვეზები, რაზე დაყრდნობითაც შექმნიან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას.

## სტანდარტი 2 - საგანმანათლებლო პროგრამები

დაახლოებით 15% შემთხვევებში დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის წესი არ ეფუძნება მინისტრის მიერ განსაზღვრულ 152/ნ ბრძანებას და მასში შეტანილ ცვლილებებს (28.05.29 N59/ნ). მიზეზი ამ ხარვეზისა ბევრ შესაძლო ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა დადასტურებაც განხორციელებული თვითშეფასებების შესწავლით არ არის შესაძლებელი.

### *რეკომენდაცია 2.1.*

სტუდენტების ჩარიცხვის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების ალტერნატიული და უფრო ეფექტური გზების მოძიება.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწესებულებას აღნიშნულ პროცესში შემავალი საფეხურების თანმიმდევრობა შესაბამისად არა აქვს აღქმული. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე, მაშინ როდესაც ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება უკვე დასრულებული შეფასების გადამოწმებას და ამ პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შესწავლას.

### *რეკომენდაცია 2.2.*

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, რათა აღნიშნული პროცესი შინაარსობრივად სრულყოფილად იქნას აღქმული დაწესებულებების მხრიდან და მაქსიმალურად გამოირიცხოს ვერიფიკაციის განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტი.

## სტანდარტი 3 - პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უმეტეს შემთხვევებში პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები დაწესებულებების მხრიდან არასრულყოფილადაა დარეგულირებული, რაც გულისხმობს აღნიშნული საკითხებზე მხოლოდ ზოგადი ჩანაწერებით შემოფარგლას, რომელიც არ პასუხობს კომპონენტებში შემავალ ყველა ინდიკატორს. ამ მიმართულებით პრაქტიკის ამსახველი და დამადასტურებელი მტკიცებულებები ხშირ შემთხვევებში არ იძებნება.

### *რეკომენდაცია 3.1.*

სასწავლებლების უნარების განვითარება სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების განვითარების და შესაბამისი მტკიცებულებების შემუშავების მიმართულებით.



## სტანდარტი 4 - ადამიანური რესურსები

პერსონალის საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგია და განერილი პროცედურები ან საერთოდ ვერ იძებნება, ან არასრულყოფილია. იმდენად რომ აღნიშნული არ იძლევა მიზნობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაყრდნობით პერსონალის განმავითარებელი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.

### *რეკომენდაცია 4.1.*

დანესებულებებში პერსონალის მართვის პროცესების მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის მისაღწევად, კომპეტენტური ორგანოების მიერ ვორქშოპების განხორციელება.

გამონვევად რჩება კვლევების საკითხი - თანდართული კვლევის მეთოდოლოგიები და კითხვარები დანესებულებებს არ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ მიიღონ რეალური შედეგები, რაზეც შემდეგ მათ სათანადო რეაგირება ექნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ჩატარების აუცილებლობა თითქმის ყველა სტანდარტის კომპონენტებშია გაბნეული, აღნიშნული მიმართულებით დამატებითი გადამზადების საჭიროება ყველაზე მწვავედ დგას.

შეინიშნება შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობიდან პირდაპირაა გადმოტანილი ესა თუ ის რეგულაცია და ნაკლებადაა მორგებული დანესებულების შიდა პროცესებზე, რაც ბმაშია შემდეგ ხარვეზთან - 73%-ის შემთხვევებში დანესებულების მიერ მონოდედული აღწერილობითი ნაწილი შეუსაბამო/ბუნდოვანი, ან არასაკმარისია მინიმუმ ერთ სტანდარტთან მიმართებაში მაინც (ასევე შეინიშნება ტექსტების ინდიკატორიდან/კომპონენტიდან ან გზამკვლევიდან გადმოტანა).

### *რეკომენდაცია 4.2.*

კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულებების უნარების გაძლიერების ტრენინგი/ვორქშოპი (იმ სტანდარტებთან ბმაში, რომელთა კომპონენტებიც ითვალისწინებს კვლევების ჩატარებას, მათ შორის პერსონალის განმავითარებელი აქტივობების საჭიროებების კვლევის ჩატარებას).

## ყველა სტანდარტთან მიმართებაში გამოკვეთილი გამოწვევები

ყველაზე ხშირად ექსპერტის მხრიდან სტანდარტთან შეუსაბამობის (არ შეესაბამება) დაფიქსირება გამოწვეულია მტკიცებულებების ან საერთოდ არ არსებობით, ან არასაკმარისობის/არასანდოობის მიზეზით. ამ ფაქტიდან გამომდინარე იკვეთება ორი პრობლემა: ერთი ის რომ დანესებულებების უმრავლესობას არა აქვს გააზრებული როგორ გაამყაროს მტკიცებულებებით ის პრაქტიკა, რომელსაც რეალურად ახორციელებს და მეორე - დანესებულებების უმრავლესობას არა აქვს ბოლომდე გააზრებული, თუ რას ითხოვს სტანდარტი შინაარსობრივად და ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, შეუსაბამო მტკიცებულებები იქმნება. გამოკვეთილი ორი პრობლემიდან ერთის არსებობა მეორეს არ გამოორიცხავს და დიდი ალბათობით ორივე ფაქტორს



თავისი წილი მიუძღვის მტკიცებულებების უმრავლესობის დახარვეზებაში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დახარვეზდა (მხედველობაში არ მიიღეს) ასევე ის მტკიცებულებები, რომლებიც გამართული და შესაბამისი იყო შინაარსობრივად, თუმცა შეიქმნა თვითშეფასების განხორციელების შემდგომ, რის გამოც მათი სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

17,6% შემთხვევაში დაწესებულებას ერთი, ან რამდენიმე სტანდარტის მიხედვით შეფასებული აქვს საკუთარი თავი მეტწილად, ან ნაწილობრივ შესაბამისობაში, თუმცა თანდართული არაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საგანმანათლებლო სივრცეში დაწესებულებების თითქმის მეხუთედს არა აქვს გააზრებული ის აუცილებელი პირობა, რომ რომელიმე სტანდარტში უფრო მეტი, ან ნაწილობრივი შესაბამისობის დასაფიქსირებლად უნდა არსებობდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც.

### *რეკომენდაცია*

პროფესიული ხუთივე სტანდარტის მიხედვით მტკიცებულებების შექმნის, შენახვისა და წარდგენის გაიდლაინის შემუშავება და დაწესებულებებისთვის გაზიარება. აღნიშნული შემდგომში შესაძლოა ინტეგრირდეს ხარისხის სახელმძღვანელოში, ან ავტორიზაციის გზამკვლევაში.

## სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2

ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (\*3599) საფოსტო  
ინდექსი: 0193

ელ. ფოსტა: [info@eqe.ge](mailto:info@eqe.ge)